ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №66
(48443000)

ქ. თბილისი 06.11..2018წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის გრიგოლ კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორისი", მისი დირექტორი დავით გოთოშია, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ერთვალუტიანი ერთ მომხმარებლიანი წარმოების ცხრილებით საბუღალტრო პროგრამა ორის ბუღლტერია A01ST (ინვოისი#1487 06.11.2018წ.) შეძენა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საერთო ღირებულებით 1122 ლარის ფარგლებში.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

2.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნისამებრ 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

3.1 ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.2 ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 უნაღდო ანგარიშსწორების დროს გადახდის თარიღად მიიჩნევა "გამყიდველის" საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღე.

3.4 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

3.5 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შესყიდვების კოორდინატორი მთავარი სპეციალისტი პაატა კიკვაძე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა

4.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

5.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სალიცენზიო პირობები

პროგრამასთან მუშაობის დაწყებამდე ყურადღებით გაეცანით სალიცენზიო ხელშეკრულებას !სალიცენზიო ხელშეკრულება

6.1 სალიცენზიო ხელშეკრულება წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს თქვენს (საბოლოო მომხმარებელს) და შპს ორისს შორის. პროგრამის დაყენებით კომპიუტერზე, მისი კოპირებით, ან მასთან მუშაობის დაწყებით, თქვენ იძლევით თანხმობას შეასრულოთ ხელშეკრულების ყველა პირობა. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ ეთანხმებით ხელშეკულების პირობებს, თქვენ არ გაქვთ იურიდიული უფლება ისარგებლოთ პროგრამით. ასეთ შემთხვევაში არ დააყენოთ პროგრამა კომპიუტერზე. პროგრამის შეძენიდან ორი კვირის განმავლობაში თქვენ გაქვთ უფლება დააბრუნოთ პროგრამის დაუზიანებელი სრული კომპლექტი, მასში შემავალი ნაბეჭდი და სხვა თანმხლები მასალა. ამის შემდეგ თქვენ დაგიბრუნდებათ მისი სრული საფასური.

6.2 საავტორო უფლება.

კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით.

6.3 სალიცენზიო უფლებები.

პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

6.4 უფლებების გადაცემა

თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

6.5 შეზღუდული გარანტია

მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

6.6 გარანტიების არარსებობა

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

7 . მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო მის: ქ. თბილისი, ჯიქიას 8 ს\კ 202466991	შპს ორისი მის: თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. #12ბ ს\კ 206033754 ს.ს. „საქ. ბანკი" GE88BG0000000120121601
სააგენტოს უფროსი გრიგოლ კაკაურიძე	დირექტორი დავით ბოთოშია

ORISI ®

პროფორმა ინვოისი N 1487

ტელ: 238-43-43
238-39-94

თარიღი 06.11.2018

მომწოდებელი 206033754, შპს ორისი

მისამართი 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N12ბ

ბანკი BAGAGE22, თბილისი სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი

ანგარიში GE88BG0000000120121601

გადამხდელი 202466991სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

NN	საქონელი / მომსახურება	რაოდენობა	ერთეული	ერთეულის ფასი	თანხა დღგ-ს გარეშე	დღგ		თანხა დღგ-ს ჩათვლით
						განაკვეთი	თანხა	
1	საბუღ.პროგრამა A01ST	1	ცალი	950.85	950.85	18	171.15	1,122.00
					950.85		171.15	1,122.00

თანხა 1,122.00 GEL ერთი ათას ასოცდაორი ლარი და 00 თეთრი

შეთავაზება ძალაშია 3 დღის განმავლობაში

დირექტორი დავით გოთოშია